

თავი I. ზოგადი დებულებები



მუხლი 1. „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარების უფლება

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარების ექსკლუზიურ უფლებას ფლობს საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია.

მუხლი 2. „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარების წესები

„ყველა ვარსკვლავის მატჩი“ ტარდება „კალათბურთის ოფიციალური წესების“ და წინამდებარე დებულების შესაბამისად.

სუპერლიგის ყველა მონაწილე ვალდებულია გაეცნოს და შეასრულოს „კალათბურთის ოფიციალური წესების“ და წინამდებარე დებულების მოთხოვნები.

მუხლი 3. „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ (ორგანიზების და ჩატარების ხელმძღვანელობა)

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ორგანიზებას და ჩატარებას ხელმძღვანელობს „საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია“ საშეჯიბრო დეპარტამენტის მეშვეობით.

თავი II. „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარების მიზნები

მუხლი 4. მიზნები

„ყველა ვარსკვლავის მატჩის“ ჩატარება მიზნად ისახავს:

- კალათბურთის პოპულარიზაციას;
- კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენას;
- კალათბურთელთა ოსტატობის დონის ამაღლებას;
- საქართველოში კალათბურთის შემდგომ განვითარებას.

www.Superleague.ge

მუხლი 5. ჩატარების დრო და ადგილი

„ყველა ვარსკვლავის მატჩი“ გაიმართება ქ. თბილისში, „ახალ სპორტის სასახლეში“ 2017 წლის 28 იანვარს.



თავი III. მოთამაშეების, მწვრთნელების „ყველა ვარსკვლავის მატჩზე“ დაშვება

მუხლი 6. დაშვების პირობები

- „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მონაწილეობას მიიღებს 2 გუნდი, რომელიც სუპერლიგის რეგიონალური პრინციპით განისზღვრება.
 - I გუნდი დაკომპლექტდება თბილისის გუნდების მოთამაშეებისგან (კაკტუსი, მგზავრები, დინამო, ოლიმპი)
 - II გუნდი დაკომპლექტდება რეგიონის გუნდების (რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი) კალათბურთელებისგან.
 - I გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება ჩემპიონატში პირველ ადგილზე მყოფი გუნდის მთავარი მწვრთნელი.
 - II გუნდის მთავარი მწვრთნელი იქნება ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფი გუნდის მთავარი მწვრთნელი.
 - როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის შემადგენლობაში შევა 12-12 მოთამაშე, რომლებიც შემდეგი პრინციპით შეირჩევიან:
 - ორივე გუნდის სასტარტო ხუთეულის წევრებს ირჩევენ გულშემატკივრები, რომლებსაც სუპერლიგის ვებ-გვერდის (superleague.ge) მეშვეობით შეუძლიათ ხმის მიცემა. გამოკითხვა დაიწყება 2017 წლის 20 იანვარს და დასრულდება 2017 წლის 26 იანვარს, დილის 18:00 საათზე.
 - ხმის მიცემის პროცედურისას გულშემატკივარი თითოეული გუნდიდან ირჩევს 5 მოთამაშეს (2 უკანაზაფელი, 2 ფორვარდი და ერთი ცენტრი).
 - „ყველა ვარსკვლავის მატჩის“ მონაწილე თითოეული გუნდისთვის დარჩენილ 7 მოთამაშეს შეარჩევენ მწვრთნელები გამოკითხვაში მონაწილე დანარჩენი მოთამაშეებისგან. სუპერლიგის ერთი კლუბიდან „ყველა ვარსკვლავის მატჩში“ მონაწილე თითოეულ გუნდში (ჯამში 12 მოთამაშე) შეიძლება ირიცხებოდეს მაქსიმუმ 5 მოთამაშე.
 - ყველა მოთამაშე უნდა გამოცხადდეს მატჩზე თავის კლუბის ფორმაში.
- თბილისის გუნდი ითამაშებს ღია ფერის მაისურებით, რეგიონის გუნდი ითამაშებს მუქი ფერის მაისურებით.

- „ყველა ვარსკვლავის მატჩთან“ ერთად გაიმართება **ორი კონკურსი**:

- **პირველი** : სამქულიანების კონკურსი. მისი მონაწილეები შემდეგი პრინციპით შეირჩევიან

- რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით 5 მოთამაშე, რომელთაც სხვებზე უკეთესი პროცენტული მაჩვენებელი ექნებათ და წინა წლის გამარჯვებული. მოთამაშეებს 5 წერტილიდან 1 წუთის განმავლობაში 5-5 ტყორცის გაკეთების უფლება ექნებათ, თითო ჩაგდებული ბურთი 1 ქულაა, ხოლო თითოეული წერტილიდან ბოლო ნატყორცი ბურთის კალათში ჩაშვების შემთხვევაში მონაწილე 2 ქულას მიიღებს.

- **მეორე** : ჩატენვები. თითო მონაწილეს ჩატენვის შესასრულებლად მიეცემა 1 წუთი, რომლის განმავლობაშიც კონკურსანტს მაქსიმუმ 3 ცდა ექნება .შეფასება მოხდება 10-ბალიანი სისტემით, შეფასებას კი ამ კონკურსისთვის შერჩეული სპეციალური ჟიური განახორციელებს. კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად. პირველი ეტაპიდან 2 საუკეთესო გავა ფინალში, სადაც გამარჯვებული გამოვლინდება.

თავი IV. ფინანსები

კალათბურთის ფედერაცია გაიღებს შემდეგ ხარჯებს:

- მატჩი-აქციის ჩასატარებლად საჭირო ფართის იჯარას
- მსაჯთა ჯგუფის მიერ თამაშის მომსახურებას
- „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქციის პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა მუსიკალური და საცეკვაო ნომრების და საჭირო ინვენტარის უზრუნველყოფას.
- ყველა ვარსკვლავის მატჩი-აქციის მწვრთნელებისა და მოთამაშეების, მატჩი-აქციის დროს გამართულ სხვადასხვა საშეჯიბრო კონკურსის მონაწილეების დაჯილდოვებას და მატჩი-აქციის მაცურებლებისთვის სხვადასხვა სამახსოვრო სუვენირების გადაცემას (თასი, სიგელი, მედალი).

ყველა ვარსკვლავის

მატჩი-აქცია

ALL STAR

თავი V. დისციპლინური დარღვევები და სანქციები

- იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ გუნდის რომელიმე მოთამაშე ან მწვრთნელი შეხვედრაში მონაწილეობაზე უარს განაცხადებს, მან უნდა წარმოადგინოს ექიმის ცნობა, რომელიც იმ მოცემულ მომენტში მისი დაშავების ან შეუძლოდ ყოფნის მიზეზს განმარტავს.

- ნებისმიერ შემთხვევაში, მოთამაშე უნდა გასინჯოს კალათბურთის ფედერაციის სამედიცინო კომისიამ და საბოლოო დასკვნა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა იქნას გამოტანილი.

- მოთამაშის ან მწვრთნელის მატჩზე/კონკურსზე გამოუცხადებლობის ან უთამაშებლობის (არადამტკიცებელი სამედიცინო კომისიის მიერ) მიზეზის არწარდგენის შემთხვევაში მიესჯება 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და დაჯარიმდება 500 ლარით.